პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 21.01.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარე;

ხათუნა ჩხაიძე - ს.ს. „ლომისის" პერსონალის მართვის დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, პროფესიული განვითარების, მეცნიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე; საბჭოს მდივანი;

მიშა კორძახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;

ლიანა ზამბახიძე - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ჯუმბერ გაბრიელაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;

ალექსანდრე ეჯიბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ავტორიზაციის მაძიებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ზვიად ხაჭაპურიძე - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის დირექტორი;
2. ნინო ბერძენიშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის წარმომადგენელი;
3. თეა გურაშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის წარმომადგენელი;
4. თამარ ლანჩავა - ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებლის დირექტორი;
5. ია გუგუნავა - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის დირექტორი;

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი;

შორენა ჯაფარიძე;

თეა შაყულაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:15 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ეტალონისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭიღლაძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრში შემოსული იყო შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის წერილობითი შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ითხოვდა, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის ავტორიზაციის საკითხის განხილვა მომხდარიყო ავტორიზაციის საბჭოს შემდგომ სხდომაზე. ნანა ჭიღლაძემ ასევე განმარტა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 12 დეკემბრის N31 გადაწყვეტილებით შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიას SBA-ის მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ერთ იურიდიულ პირს არ შეიძლება ჰქონოდა ორი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, რადგანაც შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიას SBA-ს მოპოვებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა მომხდარიყო შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-სთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის გაუქმება და ძალადაკარგულად გამოცხადებულიყო საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის N70 გადაწყვეტილება. საბჭომ ერთხმად გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ეტალონისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
4. ,,შპს საგანმანათლებლო დაწესებულება - SBA-ის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის N70 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხის განხილვა

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ეტალონისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თეა შაყულაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ზოგადად, დაწესებულების პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის მიერ უარყოფითად იყო შეფასებული.

შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონს თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, სურს დაიმატოს 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როდის მოხდა პროგრამების შემოწმება.

თეა შაყულაშვილის განმარტებით, აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა თვითშეფასების ანგარიშების საფუძველზე პროგრამების დამატების უფლების რეალიზებას. ცენტრში, პროგრამები წარმოადგენილი იქნა 2013 წლის ზაფხულში, ხოლო ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება დაასრულა სექტემბრის დასაწყისში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ხანგრძლივი პერიოდი იყო გასული შემოწმებიდან საბჭოს სხდომამდე. მისი განცხადებით, დაწესებულებამ შეცვალა სასწავლი გეგმა და სასწავლო კურსების დასახელებები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული დასკვნაში და შემოწმებული იქნა თავდაპირველად წარმოდგენილი პროგრამა.

ექსპერტის განცხადებით, ისინი ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეკონტაქტებოდნენ დაწესებულებას და იღებდნენ საჭირო დოკუმენტაციას. აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია მათ მიიღეს „მეილით"ელექტრონული წერილით, კერძოდ, ბრძანება, მაგრამ არა - შეცვლილი დოკუმენტაცია.

გაურკვევლობა გამოიწვია საბჭოს წევრებს შორის,(ექსპერტი და დაწესებულების წარმომადგენელი გულისხმობდა თუ არა ერთსა და იმავე დოკუმენტს) ასე ხომ არ სჯობს?იყო თუ არა საუბარი ექსპერტისა და დაწესებულების წარმომადგენლების შორის ერთსა და იმავე დოკუმენტაციაზე.

ექსპერტის განცხადებით, მან შეამოწმა ის პროგრამები, რომლებიც ჰქონდა მიღებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

დაწესებულების წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ მათ შეცვალეს სასწავლო გეგმა და დასახელებები, რომლებიც გადმოგზავნილი იქნა ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივითა და საბჭოს წევრთა მხარდაჭერით, გადაწყდა, რომ სიტუაციაში გარკვეულიყვნენ ცენტრი, ექსპერტები და დაწესებულება. აღნიშნული გაურკვევლობის აღმოფხვრამდე, საბჭო განიხილავდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს.

ახალი დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 საკითხის განხილვის დასრულების შემდგომ განახლდა საკითხის განხილვა.

თეა შაყულაშვილის განმარტებით, დაწესებულება არ უარყოფდა, რომ შეცვალა მხოლოდ, სასწავლო კურსის დასახელებები და სასწავლო გეგმა. მისი განცხადებით, შემოწმდა ელექტრონული ფოსტა. ბოლო შეტყობინება მიღებული იყო 4 სექტემბერს, რომელშიც არ იკვეთებოდა რაიმე ცვლილება. ექსპერტის განცხადებით, შემოწმდა დაწესებულებების უამრავი პროგრამა, მაგრამ მსგავსი პრობლემა არ დაფიქსირებულა. მხოლოდ წარმოდგენილი მასალების, შემოწმება მოხდა. იყო ცვლილების შესახებ ბრძანება, რომელსაც არ ახლდა ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭო დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, საუბარი იყო თუ არა ერთსა და იმავე დოკუმენტაციაზე.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება არც უარყოფდა, რომ მხოლოდ სასწავლო გეგმა და სასწავლო კურსების დასახელებები შეცვალა. მისი განცხადებით, განეხილათ დასკვნები და შემდგომ ემსჯელათ, აღნიშნული ცვლილება ცვლიდა რეალობას თუ არა.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე, დაინტერესდა, ცვლილებები ბრძანების ტექსტში ხომ არ იყო მითითებული ცვლილებების ტექსტი.

თეა შაყულაშვილის განცხადებით, ბრძანება ნახეს და ცვლილებები მასში არ იყო მოცემული.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

1.1 პროგრამით არ არის განსაზღვრული სწავლის ხანგრძლივობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ვალდებულებას განსაზღვრულიყო პროგრამის ხანგრძლივობა. მისი განცხადებით, პროფესიულ განათლებაში არ იყო აუცილებელი წინასწარ დადგენილიყო, თუ როდის დასრულდება პროგრამა.

1.2 პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა „საბაზო ზოგადი (არანაკლებ ზოგადსაგან-მანათლებლო სკოლის 9 კლასის) განათლება და გასაუბრება", მაშინ როდესაც, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 15 ივლისის №258 ბრძანებით პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა სრული ზოგადი განათლება, ხოლო მანამდე დაშვების წინაპირობას წარმოადგენდა ერთიან ეროვნულ გამოცდებში უნარ-ჩვევების ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაძლევა. თუმცა ვებ გვერდზე განთავსებულ კატალოგში ჩარიცხვის წინაპირობა სწორად არის დატანილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები წარმოდგენილი იყო ივლისის თვეში ანგარიშის წარმოდგენის პერიოდში. ამ

პერიოდში პროფესიული განათლების .კანონის პროექტი არსებობდა, შესაბამისად, აღნიშნულის ასახვა პროგრამაში ვერ მოხერხდებოდა.

კატალოგში ინფორმაცია სწორად იყო მითითებული, რადგან როდესაც ცვლილება ძალაში შევიდა, მოხდა კატალოგის განახლება და შემდგომ - პროგრამის მოდიფიცირებაც.

1.3 პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამაში მოცემული სასწავლო გეგმა განსხვავდება წარმოდგენილი სილაბუსებისგან. კერძოდ: პროგრამაში მოცემული სასწავლო გეგმით, საწარმოო პრაქტიკა 1, 2 და 3-ს მინიჭებული აქვთ თანაბარი რაოდენობის - 25 კრედიტი, მაშინ როდესაც, წარმოდგენილი სილაბუსებით საწარმოო პრაქტიკა 1 - 25, საწარმოო პრაქტიკა 2 - 28, ხოლო საწარმოო პრაქტიკა 3 – 22-კრედიტიანია. შესაბამისად, პროგრამასა და სილაბუსებში განსხვავებულია საათების განაწილებაც.

პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო კურსი „პერსონალური კომპიუტერის მომხარება და არითმეტიკა". სასწავლო კურსის სილაბუსი კი წარმოდგენილია საოფისე კომპიუტერულ პროგრამებში და ის არითმეტიკის საკითხებს არ შეიცავს. ამასთან, პროგრამით საგანს მიკუთვნებული აქვს 4 კრედიტი, სილაბუსი კი 3-კრედიტიანია, რაც იწვევს ცდომილებას კრედიტების (შესაბამისად საათების) სტანდარტით დადგენილ რაოდენობასთან. პროგრამაში 24 საათი ეთმობა ჯგუფში მუშაობას, 24 პრაქტიკუმს, სილაბუსით კი 6 საათი ლექცია, ხოლო 34 - პრაქტიკულ მუშაობას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზემოთგანხილულ შეცვლილ სასწავლო გეგმაში გასწორებული იყო ყველა ხარვეზი და სილაბუსებთან თანხვედრაში იყო.

1.4 სასწავლო კურსის „საოფისე კომპიუტერული პროგრამები"-ს სწავლების შედეგი ფორმულირებულია შემდეგნაირად: სტუდენტს „შეუძლია კომუნიკაცია და ინფორმაციის გადაცემა პერსონალური კომპიუტერის, ინტერნეტ ქსელის საშუალებით, შეუძლია ელექტრონული დოკუმენტების შექმნა და გადაცემა. საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია დამატებითი ინფორმაციის მოძიება ინტერნეტის ან სხვა საშუალებების გამოყენებით." თუმცა სტანდარტი ითვალისწინებს, რომ კურსდამთავრებული ფლობდეს დემონსტრირების უნარებს, რაც მოითხოს პრეზენტაციის პროგრამის ცოდნას, წარმოდგენილი სილაბუსი შეიცავს, მხოლოდ, „Word"-ისა და „windows"-ის პროგრამების საკითხებს და არ ითვალისწინებს Internet Explorer-ისა და PowerPoint-ის პროგრამების საკითხებს, რის გარეშეც შეუძლებელია სტანდარტით დადგენილ შედეგის - „საჭიროების შემთხვევაში, თანამედროვე საკომუნიკაციო საშულებების გამოყენებით ინფორმაციის გავრცელებისა და დემონსტრირების" უნარის მიღწევა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სწავლის შედეგებში იყო გაწერილი, რომ პროფესიული სტუდენტი Internet Explorer-ის გამოყენებით შეძლებდა საჭირო ინფორმაციის მოძიებას. მისი განცხადებით, დაწესებულება, ინტერნეტ ქსელის მეშვეობით, ინფორმაციის გადაცემას ასწავლიდა პროფესიულ სტუდენტებს.

ექსპერტი არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს და განაცხადა, რომ სილაბუსებში Internet Explorer-ისა და PowerPoint-ის საკითხების სწავლება არ იყო გათვალისწინებული.

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მონაცემები არ ემთხვევა შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის სწავლის შედეგებს. მაგ: საგანი „სხვადასხვა დაავადების მქონე პაციენტის მოვლა" სილაბუსის მიხედვით ავითარებს ცოდნის და გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებსა და ღირებულებებს, მაშინ როდესაც სწავლის შედეგების რუკის მიხედვით ის კომუნიკაციისა და ღირებულებების შედეგზე გადის; საგანი „ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელმცოდნეობა" - სილაბუსის მიხედვით ავითარებს ცოდნა-გაცნობიერების და დასკვნის უნარებს, პროგრამაში დამატებით ცოდნის პრაქტიკაში

გამოყენების უნარს; საგანი „პაციენტის უფლებები“ სილაბუსის მიხედვით, ცოდნა-გაცნობიერების უნარსა და ღირებულებებს, პროგრამის მიხედვით დამატებით დასკვნის უნარს; გერიატრია და პალიატიური მკურნალიბა სილაბუსის მიხედვით- ცოდნა-გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და კომუნიკაციის უნარებს, პროგრამით დამატებით დასკვნის გაკეთების უნარსა და ღირებულებებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სწავლის შედეგების რუკის მონაცემები სასწავლო გეგმასთან ერთად იქნა შეცვლილი.

ექსპერტებს ხარვეზად მიაჩნდა, რომ:

1. სილაბუსების მიხედვით გათვალისწინებულია როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასება. გაურკვეველია , როგორ არის ის გადანაწილებული, მაგ: თეორიული კურსის სილაბუსებში ისინი განაწილებულია შემდეგნაირად: შუალედური შეფასება 60 % დასკვნითი გამოცდა 40%; საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში კი შუალედური შეფასება (დასწრება-აქტივობა) 30% შუალედური გამოცდა (პრაქტიკის მიმდინარე ანგარიში) 30 %, დასკვნითი გამოცდა (ჩატარებული სამუშაოს აღწერა) 40 %,თუმცა გაურკვეველია ჯამური ქულების გადანაწილება თითეული კვირის (დღის, მეცადინეობის განმავლობაში), ასევე არ არის გათვალისწინებული ცალკეული შეფასების კომპონენტის კრიტერიუმები; გაუგებარია რას ნიშნავს „ჩატარებული სამუშაოს აღწერა“, საწარმოო პრაქტიკამ სტუდენტს უნდა გამოუმუშაოს არა „აღწერის“, არამედ რეალურ სამუშაო გარემოში პროფესიული საქმიანობის უნარი, რაც უნდა შეფასდეს დასკვნითი გამოცდით.

2. დაწესებულების დებულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანების რეკვიზიტები დატანილი უნდა იყოს თითოეულ კურიკულუმსა და სილაბუსზე, რაც არ არის შესრულებული წარმოდგენილ პროგრამასა და სილაბუსებზე. დაწესებულება ვალდებულია შეასრულოს საკუთარი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმები.

ექსპერტების შეფასებით, ვინაიდან წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სილაბუსების მიხედვით პროგრამა 149 კრედიტიანია - რაც არღვევს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 15 ივლისის № 258 ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტს, სასწავლო პროგრამის შედეგების რუკა და მისი შემადგენელი სილაბუსების სწავლის შედეგები, ასევე საწარმოო პრაქტიკას მიკუთვნებული კრედიტები და მისთვის განსაზღვრული საათები არ ემთხვევა ერთმანეთს, არ მიაჩნდათ შესაძლებლად წარმოდგენილი პროგრამით პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის შედეგების მიღწევა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შეფასების სისტემაში ზემოაღნიშნული ხარვეზი მათ მიერ გათვალისწინებული იქნა და ყველა სილაბუსში შეფასების სისტემა ჩაიშალა დეტალურად.

პროფესიული დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პრაქტიკის სილაბუსში დასკვნით გამოცდად მითითებული იყო პრაქტიკული მუშაობის აღწერა, კერძოდ, პრაქტიკოსი ექთანი პრაქტიკას გადიოდა საავადმყოფოში. პროფესიული სტუდენტები თეორიულ ცოდნის რეალიზებას ახდენდნენ. პრაქტიკის ხელმძღვანელი მეთვალყურეობდა , ამოწმებდა, აფასებდა მათ საქმიანობას. ამის პარალელურად, სტუდენტი თავად აღწერს , თუ როგორ რეალიზდა იგი პრაქტიკაში. დაწესებულებას ასეთი მიდგომა მიზანშეწონილად მიაჩნდა. მათი განცხადებით, პროფესიულ სტუდენტებს აღნიშნულ საავადმყოფოებში დასაქმების შანსიც ჰქონდათ.

საბჭოს წევრის, ჯუმბერ გაბრიელაშვილის, განცხადებით, მას მოეწონა დაწესებულების დამოკიდებულება, თუ როგორ იცავდა პროგრამას და განაცხადა, რომ ყველას ასე უნდა დაეცვა თავისი პოზიცია.

საბჭოს წევრების განცხადებით, იყო ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც გავლენას ვერ მოახდენდა სწავლის შედეგების მიღწევაზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული საკითხი საკმაოდ საინტერესო იყო, ექსპერტის საკმაოდ დასაბუთებულმა და არგუმენტირებულმა შეფასებამ დაწესებულებისათვის ეს დასკვნა გახადა მასტიმულირებელი შემდგომი განვითარებისათვის.

ტექნიკურ ხარვეზებთან დაკავშირებით, მისი განცხადებით, გაუგებრობების თავიდან აცილებს მიზნით სასურველი იყო ადმინისტრირება მომხდარიყო სრულყოფილად, განსაკუთრებით, განათლების სფეროში. მისი განმარტებით, თუ კატალოგში ინფორმაცია სწორად იყო მითითებული, ხოლო პროგრამაში - არა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მენეჯმენტში იყო პრობლემა და პასუხისმგებელ პირს ჰქონდა გამორჩენილი. მისი აზრით, ზემოაღნიშნული სწავლის ხარისხზე გავლენას ვერ ახდენდა, თუმცა ადმინისტრირების წესების დაცვა საჭირო იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონისთვის პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დასკვნაში იყო თუ არა წინა პროგრამის მსგავსი შენიშვნები.

თეა შაყულაშვილის განცხადებით, შენიშნების ნაწილი განსხვავებული შინაარსის იყო, თუმცა სასწავლო გეგმისა და სილაბუსების თანხვედრა აქაც არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭოს გაუჩნდა ისეთი აზრი, რომ ეს საკითხი უკვე გარკვეული და ამოწურული იყო, რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ აზრები არ ემთხვეოდა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭიღლაძის, განცხადებით, უმნიშვნელოვანესი იყო, თუ რა დოკუმენტაციაზე იყო საუბარი. დასკვნის დაწერის შემდგომ გასწორებული დოკუმენტაცია ექსპერტს არ და ვერ უნდა გაეთვალისწინებინა. მისი განცხადებით, თუ დასკვნის დასაწერად სჭირდებოდა რაიმე დოკუმენტი, მათ, რა თქმა უნდა, ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ საჭირო მასალა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სიტუაციას ართულებდა ის ფაქტი, რომ დიდი დრო იყო გასული.

ნანა ჭიღლაძის განცხადებით, შუალედი განპირობებული იყო თავად დაწესებულების კორესპონდენციებით, რომლითაც ითხოვდა დასკვნის განხილვის გადადებას.

კამათი გამოიწვია, კვლავ, იმ საკითხმა გამოგზავნილი იქნა თუ არა დოკუმენტაცია და რატომ არ აისახა აღნიშნული დასკვნაში.

შესვენება გამოცხადდა - 16:50
საბჭოს სხდომა განახლდა - 17:15

კვლავ გადამოწმდა ელექტორნული ფოსტა და დადგინდა, რომ დაწესებულებას 3 სექტემბერს ჰქონდა შესწორებული დოკუმენტაცია გადმოგზავნილი ცენტრში. ე.წ. „cc"-ში ჩასმული იყო ექსპერტიც, თუმცა მას აღნიშნული დოკუმენტაცია არ მისვლია. ფიქსირდებოდა, მხოლოდ, 4 სექტემბრის წერილი.

საკითხი დაისვა შემდეგნაირად, ჰქონდა თუ არა ექსპერტს აღნიშნულ პერიოდში დოკუმენტაციის მიღების უფლება, რისი საფუძველიც მისი შრომითი ხელშეკრულება უნდა ყოფილიყო.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნულს პრინციპული მნიშნელობა ჰქონდა საბჭოსათვის, იყო თუ არა ექსპერტი ლეგიტიმური დოკუმენტაციის მისაღებად.

დადგინდა, რომ 3-4 სექტმებრისათვის ექსპერტი იყო შრომით ურთიერთობაში ცენტრთან. ამასთან, განიმარტა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო, ექსპერტს, მხოლოდ, 3 სექტემბრის „მეილი" არ ჰქონდა მიღებული, თუმცა მან განმარტა, რომ შესვენების დროს მოხდა ამ წერილით გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შემოწმება და დადგინდა, რომ გასწორებული იყო ხარვეზები და გეგმასა და სილაბუსებში აღარ იყო ურთიერთუზუსტობები.

საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული, დაწესებულების ბრალი არ იყო და საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა დადასტურების სისტემის შემოღება ელექტრონული წერილის მიღების შემდგომ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ეტალონისთვის სასცენო ხელოვნების ოსტატის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1

ლალი ღოღელიანის განმარტებით, მისი უარყოფითი ხმა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ იგი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ექსპერტმა შესვენების დროს გადაამოწმა დაწესებულების შეცვლილი პროგრამა.

თეა შაყულაშვილის განცხადებით, მას პროგრამა არ შეუმოწმებია, მხოლოდ, საგნების თავსებადობა შეამოწმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 401962890) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა

1	სასცენო ხელოვნების ოსტატის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეოთხე	სასცენო ხელოვნების ოსტატი IV საფეხუ- რის პროფესიული კვალიფიკაცია	100
2	პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150

2. ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე- შორენა ჯაფარიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის მრავალკომპონენტიანი, თუმცა სილაბუსების ნაწილში, მათ შორის, პრაქტიკის სილაბუსებში, შეფასების ყველა კომპონენტი (მაგალითად ტესტი, პრეზენტაცია, საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის დაცვა და ა.შ.) არ არის ჩაშლილი და დაწვრილებით გაწერილი.

1.2 ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობა 12 კვირას შეადგენს (XXVII-XXXVIII კვირა). ვინაიდან საწარმოო პრაქტიკაზე გათვალისწინებულია 30 კრედიტი, სტუდენტის კვირეულმა დატვირთვამ საწარმოო პრაქტიკის პერიოდში 62.5 საათი შეადგინა, რაც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ნორმებს (40 საათი). დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, საქმე გვაქვს ბეჭდვის დროს დაშვებული ტექნიკურ შეცდომასთან. ხარვეზი გამოსწორებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, კერძოდ, დირექტორის მიერ გამოცემულ იქნა 2013 წლის 14 იანვრის ბრძანება N20 ა(ა)იპ - „მენეჯერთა სასწავლებლის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში ხარვეზის შესწორების შესახებ", რის შესაბამისად, პრაქტიკის გავლის პერიოდი განისაზღვრა XX - XXXVIII კვირა ანუ შეადგინა 19 კვირა, შედეგად სტუდენტთა კვირეულმა დატვირთვამ 39.5 საათი შეადგინა.

1.3 სილაბუსების სწავლის შედეგების რუკაზე აღნიშნული შედეგები (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის გაკეთების უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები) შესაბამისობაშია სილაბუსებში დაფიქსირებულ მისაღწევ შედეგებთან და გაწერილია კომპეტენციების შესაბამისად. თუმცა, ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რამოდენიმე სილაბუსში (მაგალითად: კომპიუტერული ტექნიკის არქიტექტურა, ლოგიკა და ელემენტარული მათემატიკა, ოპერაციული სისტემები) შედეგები წარმოდგენილია განსხვავებული სახით, კერძოდ, არ არის მკაფიოდ მითითებული რომელ კონკრეტულ კომპეტენციას შეესაბამება წარმოდგენილი შედეგები. აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, დირექტორის მიერ დამტკიცებულ 2013 წლის 14 იანვრის ბრძანება N20 ა(ა)იპ - „მენეჯერთა სასწავლებლის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში ხარვეზის შესწორების შესახებ" შესაბამისად.

1.4 ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში მიღებულ ტერმინებთან შეუსაბამობაა, კერძოდ, კურსის შინაარსის ნაწილში შუალედური შეფასებებისთვის გამოიყენება ტერმინი „პირველი შემაჯამებელი", „მეორე შემაჯამებელი" და ა.შ.

შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ 1.2 და 1.3 შენიშვნა, მათი არსებითი ხასიათის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდშივე იქნა გამოსწორებული. (დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენიშვნები იყო გამოსწორებული.)?

ავტორიზაციის საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, რას გულისხმობდა ექსპერტი 1.1 შენიშვნაში. შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ სილაბუსების ნაწილში შეფასების ყველა კომპონენტი არ იყო ჩაშლილი და დაწვრილებით გაწერილი. კერძოდ, არ იყო განსაზღვრული კონკრეტულ აქტივობისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური 10 ქულა როგორ იშლებოდა, რა შემთხვევაში მიიღებდა პროფესიული სტუდენტი 10, 9, 8, 7 და ა.შ ქულას. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ვინაიდან მათ ამ ეტაპზე არ ჰყავდათ პროფესიული სტუდენტები, ამიტომ არ იყო ჩაშლილი შეფასების კომპონენტები. როდესაც დაწესებულება მიიღებდა სტუდენტებს, შეფასების კომპონენტებს დეტალურად მაშინ ჩაშლიდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული შენიშვნა უკვე გამოსწორებული იყო.

საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე, ოპერატიულად რომ გამოსწორდა ხარვეზების ნაწილი, ეს იყო იმის დამადასტურებელი დადებითი ნიშანი, რომ დაწესებულებასა და ექსპერტებს შორის, კანონმდებლობით დადეგენილ ფარგლებში, იყო ურთიერთთანამშრომლობითი დამოკიდებულება და დაწესებულება ორიენტირებული იყო , რომ შენიშვნები მოკლე დროში აღმოეფხვრა.

საბჭოს წევრი ალექსანდრე ეჯიბაძე დაინტერესდა, შეესაბამებოდა თუ არა დაწესებულების მატერიალური რესურსი ავტორიზაციის სტანდარტებს. შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისი მატერიალური რესურსი და ავტორიზაციის სტანდარტი იყო დაკმაყოფილებული.

საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ აირჩია დაწესებულებამ საქმიანობის ფორმად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებელი ავტორზაციის მიღების შემთხვევაში გეგმავდა საერთაშორისო გრანტების მოპოვებას.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ სურდა დაწესებულებას ბუღალტრის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოფისის მენეჯერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 1996 წლიდან მოყოლებული ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას, გააჩნდა სათანადო გამოცდილება და ამიტომ გადაწყვიტა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ჯაყელმა განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც 1 პროფესიულ სტუდენტზე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სულ მცირე 4კვ.მ ფართი. აქედან გამომდინარე, ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებელს შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 55 პროფესიული სტუდენტისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს, რომ პროფესიული პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრა. საბჭოს წევრებმა გაითვალისწინეს აღნიშნული შუამდგომლობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებლის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 412674681) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.

3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფეტვიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულების სურვილი იყო განეხორციელებინა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ბუღალტერ-მოანგარიშის მე-3 საფეხურის; ბუღალტერ-მოანგარიშის მე-4 საფეხურის; ბუღალტრის მე-5 საფეხურის; ინფორმაციული ტექნოლოგის მე-3 საფეხურისა და ინტერნეტტექნოლოგის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. დაწესებულება მდებარეობს ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის №76-ში და საერთო ფართი შეადგენს 879.64 კვ.მ. ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა ვისგან ჰქონდა დაწესებულებას იჯარით აღებული გურამიშვილის გამზირის №76-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და რა ვადით იყო გაფორმებული მოცემული ხელშეკრულება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა კერძო პირებთან. ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ იჯარის ხელშეკრულება დადებული იყო 2018 წლის 1 სექტემბრამდე.

საბჭოს წევრის ლალი ღოღელიანის მოსაზრებით, პროფესიული პროგრამა - ინფორმაციული ტექნოლოგია, შინაარსის მიხედვით საკმაოდ ფართო იყო. ამასთან, ლალი ღოღელიანის მოაზრებით, დაწესებულების სახელწოდებაში სიტყვა - ,,აკადემიის" გამოყენება არ იყო მიზანშეწონილი.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, გაეცნო თუ არა ექსპერტი დაწესებულების განვითარების გეგმას, ასევე საინტერსო იყო ის თუ რატომ აპირებდა დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გადამოწმდა დაწესებულების როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იგი იზიარებდა ლალი ღოღელიანის მოსაზრებას სახელწოდებასთან დაკავშირებით. ასევე მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას გაწერილი ბიზნეს გეგმა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელიც მილევად რეჟიმში ახორციელებდა საქმიანობას. სწორედ აღნიშნული დაწესებულების ბაზაზე დაარსდა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია, რომლის სურვილიც იყო განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამები. ქეთევან ჯაყელის მოსაზრებით, როდესაც დაწესებულებას სახეზე ჰქონდა წარუმატებელი საქმიანობის მაგალითი უმაღლესი განათლების სფეროში, ჰქონდა თუ არა შემუშავებული სპეციალური ბიზნეს მიდგომა პროფესიული განათლების სფეროში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი გამოცდილება იძლეოდა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ დაწესებულება ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში იქნებოდა წარმატებული.

ქეთევან ჯაყელის მოსაზრებით, წარმატებული საქმიანობისთვის არ იყო საკმარისი მხოლოდ სათანადო მატერიალური რესურსის ქონა, ამისთვის საჭირო იყო საკითხისადმი სისტემური მიდგომა და გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმარების გაკეთება. დაწესებულებას ნათლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული და გააზრებული სტრატეგიული განვითარების გეგმა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტრატეგიულ გეგმაში დეტალურად იყო გაწერილი ბაზრის შესწავლა, იგეგმებოდა სხვადასხვა პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება და სხვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 307-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრების მოსაზრებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც 1 პროფესიულ სტუდენტზე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სულ მცირე 4კვ.მ ფართი. აქედან გამომდინარე, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 220 პროფესიული სტუდენტისთვის.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220-ით.

საბჭოს წევრმა ჯუმბერ გაბრიელაშვილმა კენჭისყრაზე წინააღმდეგ მისცა ხმა, რადგან მისი მოსაზრებით, ექსპერტებს ნანახი და შესწავლილი არ ჰქონდათ დაწესებულების სტრატეგიული გეგმა. აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ფეტვიაშვილმა.

4. ,,შპს საგანმანათლებლო დაწესებულება - SBA-ის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის N70 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს საგანმანათლებლო დაწესებულება - SBA-ის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის N70 გადაწყვეტილების 2013 წლის 12 დეკემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,შპს საგანმანათლებლო დაწესებულება - SBA-ის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის N70 გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:38 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლალი ღოღელიანი